ახალი ხარაგაული

376 (7) 16 აპრილი, 2018 წ.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ახალშექმნილი ა(ა)იპ-ების დირექტორები თანამშრომლებს წარუდგინა

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების გაერთიანებების შედეგად ხარაგაულში სამი ახალი ა(ა)იპი ჩამოყალიბდა, რომელთა დირექტორების დანიშვნის ბრძანებებს ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ხელი უკვე მოაწერა.

რეორგანიზაციის შედეგად ხარაგაულში ამიერიდან ცხრა ა(ა)იპი გააგრძელებს ფუნქციონირებას. გაერთიანებული ა(ა)იპ-ის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორად გრიგოლ ჭიპაშვილი დაინიშნა, რომელიც ამ დრომდე ხარაგაულის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურში ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი გახლდათ. აღნიშნულ ა(ა)იპ-ში გაერთიანებულია ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი, საფეხბურთო კლუბი „ჩხერიმელა 2009“ და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი.

ა(ა)იპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ დირექტორის თანამდებობა ნიკოლოზ მაჭავარიანმა დაიკავა, რომელსაც ამ დრომდე ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობა ეკავა. ახალ ა(ა)იპ-ში გაერთიანებულია ცენტრალური ბიბლიოთეკა, ისტორიული მუზეუმი, კულტურის ცენტრი, ხალხური შემოქმედების სახლი და ლიტერატურული თეატრი.

ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორად კი თეიმურაზ ფურცელაძე დაინიშნა. იგი ამ დრომდე ა(ა)იპ „ხარაგაულდასუფთავების“ დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა. ახალ ა(ა)იპ-ში გაერთიანდა „ხარაგაულკეთილმოწყობა“ და „ხარაგაულდასუფთავება“.

მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ახალშექმნილი ა(ა)იპ-ების დირექტორები თანამშრომლებს ოფიციალურად წარუდგინა. მერმა წარმატებები უსურვა ახალ ხელმძღვანელებს და მომავალში, ხარაგაულის განვითარებისთვის საერთო საქმეების კეთებაში, გვერდით დგომა აღუთქვა. მისივე თქმით, ახალშექმნილი ა(ა)იპ-ების დირექტორები გამოცდილი კადრები არიან და იმ პასუხისმგებლობას, რაც მათ აიღეს, გონივრულად გაართმევენ თავს და ბევრად უფრო მოქნილ მენეჯმენტს განახორციელებენ.

,,თქვენ ხართ ღირებული ადამიანები, ამიტომ თითოეული თქვენგანის საქმიანობა იქნება დაფასებული. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ კომფორტულად იმუშაოთ და ნაკლებად მტკივნეული იყოს ის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდება. დავანებოთ თავი იმაზე ფიქრს - რა იყო გუშინ. ერთად ვიფიქროთ განვითარებაზე და ხვალინდელ დღეზე. სრული დატვირთვით ვაგრძელებთ მუშაობას და მინდა იცოდეთ როგორც ადგილობრივი თვითმმართველობისგან, ისე მთავრობისგან გექნებათ მაქსიმალური ხელშეწყობა.“ - დასძინა ნიკოლოზ თოფურიძემ.

ხარაგაულის მერიამ უკვე გამოსცა ბრძანება, ა(ა)იპ-ების – „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“, „სამუსიკო სკოლა“ და „სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება“ - რეორგანიზაციის შეწყვეტის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ზემოხსენებული შემუშავებული პროექტის მიხედვით, აღნიშნული სამივე ა(ა)იპი უნდა გაერთიანებულიყო, თუმცა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ კანონის“ მიხედვით განსახორციელებელი რეფორმის გამო ა(ა)იპ-ები ვეღარ გაერთიანდა, რის გამოც ისინი დამოუკიდებლად განაგრძობენ ფუნქციონირებას.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების მშენებლობის პროცესს აღგილზე გაეცნო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩრდილში გზის რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის ფარგლებში, კაოთის უბანში, გზის 1 300-მეტრიან მონაკვეთზე, ბეტონის საფარი დაიგება. რაც შეეხება კოშკის უბანს (1 100 მ), სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 323 500 ლარით დაფინანსდა. ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობა კი 5 %-ს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ ღარიხევში დასრულდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ, ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელ, თენგიზ ჭიპაშვილთან ერთად დაათვალიერა.

სოფელში ბეტონის საფარი 1 200 მეტრზე დაიგო. უახლოეს მომავალში გზის რეაბილიტაცია ქროლშიც დაიწყება.

„წინასაარჩევნოდ დაგპირდით, რომ ღარიხევში და ქროლში გზების რეაბილიტაცია აუცილებლად განხორციელდებოდა და დანაპირებს ვასრულებთ. ჩვენ ვმუშაობთ იმისათვის, რომ მოსახლეობას შევუქმნათ უკეთესი პირობები და სამი წლის განმავლობაში ხარაგაულის ყველა სოფელს ექნება ასეთივე მოწესრიგებული გზა.“ - აღნიშნა მუნიციპალიტეტის მერმა ადგილობრივებთან გასაუბრებისას.

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მონიტორინგი განახორციელა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსთან, თემური თაბუკაშვილთან და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროს, ჯაბა ბერაძესთან ერთად ინფრასტრუქტურული პროექტების მონიტორინგი განახორციელა.

მუნიციპალიტეტის მერმა სოფელ ბაზალეთში, რკინიგზის უბანში, რეაბილიტირებული გზა დაათვალიერა. საუბნო გზის 142 -მეტრიანი მონაკვეთი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით დაფინანსდა. პროექტის ღირებულება 37 757 ლარს შეადგენს.

ასევე, სტიქიის სალიკვიდაციოდ გამოყოფილი თანხით რეაბილიტაცია ჩაუტარდა ლაშის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ უჩამეთში დაზიანებულ გზას. ბეტონის საფარი 77-მეტრიან მონაკვეთზე დაიგო და საერთო ჯამში 18 877 ლარი დაიხარჯა.

მჯერა, ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, თუ არის ნება და თავდადება...

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში უახლოეს პერიოდში ბევრი მასშტაბური პროექტის განხორციელება იგეგმება. მერიის მიერ შემუშავებულ სამოქმედო გეგმაში, ერთ-ერთი პრიორიტეტი დაბაში არსებული პრობლემების მოგვარებაა. ბაქარ ბარბაქაძე, რომელიც სულ რადენიმე ხნის წინ დაინიშნა მერის წარმომადგენლად დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, ადგილზე ეცნობა არსებულ პრობლემებს და აქტიურად აპირებს მუშაობას მათ გადასაჭრელად. დიდი ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე ახალგაზრდას სწამს, რომ ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც დღეს მუნიციპალიტეტის მმართველ გუნდში არიან. როგორია ბაქარ ბარბაქაძის სამომავლო გეგმები, ამის შესახებ თავად გვესაუბრება:

,,დავიბადე და გავიზარდე ხარაგაულში. ბავშვობა სოფელ ბორითში, ბებია-ბაბუასთან გავატარე, რომლებმაც მასწავლეს მიწის, ბუნებისა და ადამიანების სიყვარული. ის გარემო, რომელშიც ვიზრდებოდი, საინტერესო და, ამავე დროს, ძალიან სასიამოვნო იყო. მადლობელი ვარ, რომ მათ დიდი წვლილი მიუძღვით ჩემს ჩამოყალიბებაში. ტკბილად მახსენდება სოფელში გატარებული ყოველი დღე. ბავშვები ერთად ვიკრიბებოდით, დავდიოდით მდინარეზე, ვთევზაობდით, ვთამაშობდით...ხშირად დავყავდი ბიძას მთაში, ბუნების სიყვარულიც ამ წლებიდან მოდის... სწორედ ამან განაპირობა ჩემი პროფესიის არჩევაც - დავამთავრე აგრარული უნივერსიტეტის ეკოლოგიის ფაკულტეტი. მამა ექიმია, სპეციალობით რეანიმატოლოგ-ანესთეზიოლოგი. ხშირად ვეხმარებოდი, როცა მას პაციენტები სახლში აკითხავდნენ. დედასთან ნამდვილად გამორჩეული დამოკიდებულება მაქვს. ის ჩემი გულისხმიერი მრჩეველი და საიმედო მეგობარია. მის პი-

გაგრძელება ▶ 2 გვ.

გვერდი მოამზადა ეკა შავიძემ

ხარაგაულში 9 აპრილს დაღუპული გმირები გაიხსენეს

1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული ღამიდან უკვე 29 წელი გავიდა. ამ საშინელ თარიღსა და დაღუპულ თანამემამულეებს ქართველები მუდამ დიდი გულისტკივილითა და ცრემლმორეული თვალებით ვიხსენებთ. 9 აპრილი ორმაგი ემოციითაა დატვირთული. ეს არის დღე ტრაგედიისა, რადგან ჩვენმა ქვეყანამ დაკარგა საუკეთესო შვილები და ამავდროულად ეს არის დასაბამი სიხარულისა, რადგან ზუსტად ორი წლის შემდეგ 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მტერი იმ ერთ კონკრეტულ დღეს მოგვერია, იფიქრა, ჩააქრობდა ქართველებში თავისუფლების სურვილს, მაგრამ პირიქით მოხდა, ,,კიდევაც დავიზარდეთ", კიდევ უფრო გავძლიერდით, გავერთიანდით.

1989 წლის 9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, მაშინდელი მთავრობის სასახლის წინ, წითელმა არმიამ და შინაგანმა ჯარმა მშვიდობიანი მიტინგი სასანგრე ნიჩბების, ხელკეტებისა და გაზის გამოყენებით დაარბია. იყო უამრავი დაშავებული, 21 მოკლული, მათ შორის, ერთი ჩვენი რაიონის მკვიდრი, ელისო ჭიპაშვილი. დემონსტრაციის მონაწილეთა უმთავრესი მოთხოვნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოსლვა იყო.

9 აპრილის დღესთან დაკავშირებით, ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარმა დეპუტატმა კობა ლურსმანაშვილმა, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ირინე ჩხეიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალი ყვავილებით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

კობა ლურსმანაშვილმა გაიხსენა ის მძიმე პერიოდი,რომელიც ჩვენმა სამშობლომ გადაიტანა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ 1989 წლის 9 აპრილი საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა, როგორც ერთ-ერთი ტრაგიკული დღე. დეპუტატის თქმით, ეს იყო პერიოდი, როცა ყველა ქართველი ერთი მიზნისთვის იყო გაერთიანებული.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 9 აპრილის მოვლენების დროს დაზარალებული ორი მოქალაქე ცხოვრობს, (სოფელ ხუნევში - ლელა გრიგალაშვილი და სოფელ ღორეშაში - გოჩა კოპაძე), რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 300-300 ლარი ჩაერიცხებათ.

ეკა შავიძე

აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია აქტიურ ფაზაშია

ხარაგაულის მერი ნიკოლოზ თოფურიძე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს გარემოს დაცვისა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების მიერ ორგანიზებულ (ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის კამპანია) შეხვედრას დაესწრო. მინისტრებმა ლევან დავითაშვილმა და ზურაბ ალავიძემ აბაშის მუნიციპალიტეტში მავნებელის საწინააღმდეგო ღონისძიებების რეგიონული შტაბი გახსნეს. მოგვიანებით კი დასავლეთ საქართველოს ოთხ რეგიონში- სამეგრელო-ზემო სვანეთში, აჭარაში, გურიასა და იმერეთში- სამომავლო ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, ზუგდიდში გაფართოებული შეხვედრა გამართეს. ზურაბ ალავიძის ინფორმაციით, ოთხივე რეგიონში 140 ერთეული სპეციალური ტექნიკის გამოყენებაა დაგეგმილი, რომელიც უკვე მობილიზებულია აბაშის რეგიონულ შტაბში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მთავარი მიზანია, აზიური ფაროსანას წინააღმდეგ შესაბამის სტრუქტურებსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს შორის, რაც შეიძლება მეტად კოორდინირებულად მოხდეს მუშაობა. გარდა ამისა, ხარაგაულის მერიამ აბაშის მუნიციპალიტეტში მერის წარმომადგენლების ტრანსპორტირება უზრუნველყო, შეხვედრაზე მათ, სპეციალურად შექმნილ საკოორდინაციო შტაბში კონკრეტული მითითებები და დავალებები მიიღეს.

აზიური მავნებელი ზამთრის სეზონიდან გამოსვლას ერთ თვეში დაიწყებს, ამიტომ, მოსახლეობამ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის და შრომისა და ჯანმრთელობის სამინისტროების მიერ გავრცელებული რეკომენდაციები აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს.

მერის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს აბაშის შტაბში მობილიზებული სპეცტექნიკა, რითაც კონკრეტულ სოფელში ათზე მეტი მავნებლის დაფიქსირების შემთხვევაში, ბრიგადა ადგილზე გადის და ყველა წესისა და პირობის დაცვით იწყება სათადარიგო ზომების მიღება.

შტაბის ხელმძღვანელის, ლაშა შალამბერიძის, განცხადებით, დასავლეთ საქართველოში უკვე დაწყებულია ფაროსანას დამჭერი საშუალებების ე.წ. „ფერომონების" განთავსება. ასევე არის რამდენიმე ბუნებრივი საშუალება რითაც შეგვიძლია, მოსახლეობის ჩართულობით ვებრძოლოთ აზიურ მავნებელს.

მნიშვნელოვანია, რომ 25 აპრილიდან პირველი მაისამდე, სოფელ ვარძიაში, სადაც ამ დროისთვის ყველაზე მეტი ფაროსანაა დაფიქსირებული, დაიგეგმა საცდელი/საჩვენებელი შეხვედრა მოსახლეობასთან, მეტი ინფორმირებულობისა და აზიურ მავნებელთან ბრძოლის ცნობადობის ამაღლების მიზნით.

მჯერა, ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, თუ არის ნება და თავდადება...

დასაწყისი ▶ 1 გვ.

როვნებაში სრულყოფილადაა შერწყმული სიმკაცრე და სიყვარული. საერთოდ, მშობლების ურთიერთპატივისცემა, მათი ცხოვრების წესი ჩემთვის მისაბაძი და საამაყოა. მათ სურდათ მეც მედიცინას გავყოლოდი, მაგრამ იმდენად ძლიერად მქონდა ბუნების სიყვარული, საბოლოოდ მაინც ავირჩიე ის პროფესია, რაც უფრო ახლოს იყო ჩემს სულთან. 2005 წელს დავამთავრე ხარაგაულის მესამე საჯარო სკოლა. 2006 წელს ჩავირიცხე აგრარულ უნივერსიტეტში, აქვე განვაგრძე მაგისტრატურაში სწავლაც. შევიძინე არაჩვეულებრივი მეგობრები, რომლებთანაც დღემდე მაქვს ურთიერთობა. ჩემი აზრით, პროფესია, რომელიც ავირჩიე, საკმაოდ საინტერესო და საჭიროა. ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო მეტად დაფასდება. ყველამ ვიცით, რამდენი პრობლემაა ამ კუთხით მსოფლიოში და აუცილებელია ეკო-ცნობიერების ამაღლება საზოგადოებაში.

-ტურიზმის ცენტრში მუშაობის დროს მეტი შესაძლებლობა გექნებოდათ, ახლოს გაცნობოდით ხარაგაულის ეკო-პრობლემებს. რას იტყვით ამ პერიოდზე?

-ჩემი სამუშაო გამოცდილება ხარაგაულის ტურიზმის ცენტრიდან იწყება. ისეთი ადამიანების გვერდით მიწევდა მუშაობა, რომლებიც თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. თავდაპირველად ხელმძღვანელი გახლდათ მამუკა ჭიპაშვილი, ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც საინტერესო და სასიამოვნოა. ბევრი კარგი საქმე გააკეთა ჩვენმა გუნდმა. აუცილებელი იყო დაბის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული გზების მარკირება, არა მარტო ტურისტებისთვის, არამედ ადგილობრივებისთვისაც. განვახორციელეთ საინტერესო პროექტები, რაც ახალგაზრდა თაობებისთვის სიკეთის მომტანია. ხშირად გვიწევდა ბავშვებთან ურთიერთობა, ვაწყობდით სალაშქრო ტურებს, საზაფხულო ბანაკებს, ვმუშაობდით მოზარდებში ეკო-ცნობიერების ამაღლების კუთხით. ბუნებამ, ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციამ, რასაც მათ ვთავაზობდით, მთლიანად შეცვალა ბევრი ადამიანის ცხოვრების სტილი. ვთვლი, რომ ახალგაზრდების სწორი გზით განვითარებაში მცირე წვლილი ტურიზმის ცენტრმაც შეიტანა, რასაც ეს გუნდი და მისი ხელმძღვანელი ბერიკა თურმანიძე დღემდე აგრძელებენ.

- რა არის თქვენთვის ხარაგაული?

-ხარაგაული ჩემთვის, პირველ რიგში, სიყვარულთან ასოცირდება ურთიერთობა ძვირფას ადამიანებთან, ოჯახთან, მეგობრებთან – ყველაფერია ჩემთვის... მიმაჩნია, რომ ასეთი გრძნობა მოჭარბებულად გვაქვს ხარაგაულელებს. უნივერსიტეტში სწავლის დროს ყოველ თავისუფალ დღეს, როგორც ხარაგაულელი სტუდენტების უმეტესობა, აქ ვატარებდი. მომიხარდა და მეჩქარებოდა ჩამოსვლა... სწავლის დამთავრების შემდეგ წელიწად-ნახევარი სოფელში ვიცხოვრე. სოფლის მეურნეობით დავკავდი. მთელი დღის განმავლობაში ვშრომობდი, რთულია, მაგრამ ჩემთვის საინტერესო და სასიამოვნოა ის შრომა, რასაც სოფელში, საკუთარ მიწაზე ეწევა ადამიანი.

-დაბის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელი ბრძანდებით. ამ თანამდებობის დაკავების შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენი ყოველდღიური ცხოვრება?

-როდესაც ადამიანი ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ინიშნები, ვალდებული ხარ, კეთილსინდისიერად და დიდი სიყვარულით ჩადგე ხალხის სამსახურში. ნდობას რომ გიცხადებს მუნიციპალიტეტის მერი და ის გუნდი, ვისაც პასუხისმგებლობა აქვს აღებული თითოეული ამომრჩევლის წინაშე, არ შეიძლება, იმედი გაუცრუო. მადლობა მინდა, გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, ვინც საშუალება მომცა, მცირე წვლილი შევიტანო ხარაგაულის განვითარებაში. მადლობა პაატა ფცქიალაძეს, დაბის ყოფილ რწმუნებულს, ბატონ ბორის კიკნაძეს, რომლებიც გვერდით მიდგანან და ბევრ საკითხთან დაკავშირებით დახმარებას მიწევენ. კარგად ვიცნობ დაბის პრობლემებს, ვიცი, რა აწუხებს მოსახლეობას. ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ძალიან ბევრი კიდევ გასაკეთებელია... საზოგადოების ჩართულობა მნიშვნელოვანი და აუცილებელია. არა მარტო ხელისუფლება, არამედ ყველა ერთად უნდა ვზრუნავდეთ, თუ როგორ შევქმნათ უკეთესი მომავალი.

-რა არის ის ძირითადი პრობლემები, რომელთა მოგვარებასაც ყველაზე ხშირად მოითხოვენ მოქალაქეები?

- ბევრი პრობლემაა დაბაში, თუმცა ყველაფერი მოგვარდება ეტაპობრივად. ცუდ მდგომარეობაშია შენობების ფასადები, მრავალბინიანი კორპუსების სადარბაზოები, გადახურვას საჭიროებს ბევრი შენობა, მოსაწესრიგებელია საგზაო ინფრასტრუქტურა, სკვერები, არ არსებობს საბავშვო მოედნები, აუცილებელია წყლის სათავე-ნაგებობების განახლება და ასევე, რაც დიდი პრობლემაა, არ არსებობს საკანალიზაციო სისტემა, რაც იწვევს მდინარეების დაბინძურებას. აგრარული ბაზარი გვაქვს სავალალო მდგომარეობაში, მოვაჭრეებს რთულ პირობებში უწევთ მუშაობა. საჭიროა ისეთი შენობის აგება, სადაც ნორმალურ პირობებში იქნება შესაძლებელი პროდუქტის გაყიდვა და შეძენა. არ არსებობს ტურისტული დაფები. ვთვლი, რომ ისეთ მუნიციპალიტეტში, სადაც ასეთი შესანიშნავი ისტორიული მუზეუმია, სადაც არის „ცაშეკრულას" კანიონი, ჩხერის ციხე, დევის გამოქვაბული, აუცილებელია საინფორმაციო დაფების გაკეთება, კვებისა და სასტუმროების ქსელების მოწესრიგება... ხელი უნდა შეეწყოს ტურიზმის განვითარებას, რაც კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მთლიანად მუნიციპალიტეტს.

- რა პროექტების განხორციელება იგეგმება უახლოეს პერიოდში და რა სიკეთეს შეჰმატებს მოსახლეობას?

-2018- 2021 წლებში ბევრი პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი. პირველ რიგში, დაბა უნდა წარმოადგენდეს მუნიციპალიტეტის კულტურულ ცენტრს, აუცილებელია უსახური შენობა-ნაგებობების მოწესრიგება. ინფრასტრუქტურისა და ზედამხედველობის სამსახურებთან ერთად ჩართული ვარ სარეაბილიტაციო შენობების აღწერაში. უახლოეს პერიოდში დაიწყება ფასადების, სადარბაზოებისა და გზების მოწესრიგება. იგეგმება სოლომონ მეფისა და წერეთლის ქუჩებზე არსებული ყველა სკვერის განახლება, მოეწყობა საბავშვო მოედნები, განსახორციელებელი პროექტების სიაშია კულტურისა და დასვენების პარკის რეაბილიტაცია. მოეწყობა სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემები.უნდა მოხდეს მდინარე ჯიხველას არხის გასუფთავება. სასწრაფოდაა გასარემონტებელი დაბის მესამე საჯარო სკოლის შენობა, რათა საფრთხე არ შეექმნათ ბავშვებს. დაიგეგმა ხელოვნურსაფარიანი მინი-ფეხბურთის მოედნის გაკეთება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რაც გაკეთდება, ყველაფერს მოვლა და გაფრთხილება სჭირდება, როგორც ჩვენი მხრიდან, ასევე მოსახლეობისგან. მინდა, მადლობა გადავუხადო დავით ლაცაბიძეს, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, რომ ხარაგაული იყოს გამწვანებული და გალამაზებული. პრობლემები, რომლებიც დღეს დაბაშია,შეუძლებელია ერთ ან ორ წელიწადში სრულად აღმოიფხვრას, მაგრამ ეტაპობრივად აუცილებლად მოწესრიგდება. მჯერა, ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია, თუ არის ნება და თავდადება...

ლელა გუგულაშვილი

„დღეს მისი ბედი ჰკიდია ჩვენზე...“

არ არის უბრალო ფაქტი, ერი რომ თავის მშობლიურ ენას ძეგლს უდგამს. ეს გამორჩეულად იმ დიდი სიყვარულის გამოხატულებაა, რომელიც ერის გულისგულიდან მოდის და შარავანდედად ეფინება იმ სივრცეს, რომელსაც ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა - საქართველო - ჰქვია.

დიახ, ეწვიეთ ჩვენს დედაქალაქ თბილისში, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, „მშრალ ხიდთან“ მდებარე პარკს და თქვენს ყურადღებას უმალ მიიპყრობს ქართველი მოქანდაკეების - ელგუჯა ამაშუკელისა და ნოდარ მგალობლიშვილის - მიერ შექმნილი ძეგლი უკვდავი დედაენისა. გეუფლება რწმენა, რომ ცოდნის წყურვილით ზეციისკენ ხელებაპყრობილი ქაბუკი, საქართველოს წიგნიერი მომავალი, კეთილი გზებით წაიყვანს ქვეყანას...

როცა დედაენაზე ვფიქრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ერის მამის, ილია ჭავჭავაძის, გაფრთხილებას: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა - პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისი არ ვიცი და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას.

ენა საღვთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.“

აქედან გამომდინარე, აღნიშნული სამი საუნჯის მიმართ ქართველთა დამოკიდებულების სამ შესატყვის ფაქტს მინდა, შევეხო.

მამული?

საბჭოური რეჟიმის მიერ ციმბირში იყო გადასახლებული დიდი პატრიოტი, მწერალი ლევან გოთუა (იხ. წიგნი „თავგადასავალი ლევან გოთუასი“), რომელიც მოგვითხრობს არა მარტო ლევან გოთუას, არამედ უდანაშაულოდ შორეულ ციმბირში გადასახლებულ მოაზროვნე ქართველთა თავგადასავლებს. ერთ-ერთი ეხება ახალგაზრდა ექიმებს - ოლია მესხსა და ნესტორ იმნაიშვილს. წყვილი გადასახლებაში შეუღლდა. მათი ოჯახი თითქმის ყველა კატორღელ ქართველს აერთიანებდა. ხელმეორედ დაპატიმრებას ვერ ასცდა ნესტორ იმნაიშვილი, ხოლო ოლია მესხი ფეხმძიმობამ გადაარჩინა ახალ განსაცდელს. უმამოდ იზრდებოდა პატარა თინიკო და იქ მყოფი ყოველი გადასახლებული ვალდებულად თვლიდა თავს, ბავშვისთვის ალერსი და მზრუნველობა არ მოეკლო. მალე თინიკოს ფეხი უნდა აედგა. ქართველებს თავიანთი მშობელი მიწა უსაზღვროდ ენატრებოდათ და არ უნდოდათ, რომ გოგონას ფეხი ციმბირის მიწაზე აედგა... სასწრაფოდ გამოაგზავნინეს სამშობლოდან საქართველოს რუკა, გაშალეს ოთახში ხალიჩის მაგიერ და თინიკომაც პირველი ნაბიჯები რუკაზე გადადგა... ხარობდნენ კატორღელები, რომ პატარა თინათინ იმნაიშვილმა სიმბოლურად ფეხი აიდგა საქართველოს მიწაზე...

ძვირფასო მკითხველო!

ბედის უკულმართობით დაფლეთილია საქართველოს სხეული. ვუნატროთ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მყოფ ემიგრანტთა შვილებს, რომ მათ რეალურად აედგათ ფეხი ტერიტორიულად გამთლიანებულ საქართველოს მიწაზე!..

ენა?

მშობელ მიწასთანაა შერწყმულ - შენივთებული ერის არსებობის ქვაკუთხედი - მშობლიური ენა. ვინ იცით საუკუნეთა განმავლობაში რამდენ მტარვალს გადაურჩა მრავალჭირვარამგადანახადი მშობლიური ქართული ენა... აღარ მინდა, თქვენი გულის ძაფებს უხეშად შევეხო და სიტყვათა იმ არაჯანსაღ ფორმებს მოვუხმო, რომლითაც ესოდენ გამეტებულად ხდება ძირძველი ქართული ენის დანაგვიანება - დაბინძურება ჟარგონებით, ბარბარიზმებით, ენისათვის შეუსაბამო სიტყვათა წყობით...

ამჯერად, კვლავ ერთ ფაქტს გავიხსენებ ცნობილი მწერლის, რევაზ ჯაფარიძის, წიგნიდან „აწონილი სიტყვა“, რომელიც მხცოვან ენათმეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილ პრეზიდენტს, აკადემიკოს (სამეცნიერო წოდებათა ჩამონათვალი სხვაც უამრავია!) თამაზ გამყრელიძეს უკავშირდება:

,,1964 წლის აგვისტოში მოსკოვში თავი მოიყარეს დედამინის ხუთივე კონტინენტიდან მოსულმა ანთროპოლოგებმა და ეთნოგრაფებმა თავიანთ მეშვიდე საერთაშორისო კონგრესზე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, იქ ერთ-ერთი მთავარი მოხსენება, ფრიად ორიგინალური, როგორც საკითხის დაყენების, ისე ფორმის მხრივ - ,,ანატოლიური ენები და მცირე აზიაში ინდო-ევროპული ტომების დასახლება„- წაიკითხა ქართველ ფილოლოგთა უმცროსი თაობის წარმომადგენელმა, მეცნიერებათა დოქტორმა თამაზ გამყრელიძემ.

თამაზ გამყრელიძემ იმითაც მოაჯადოვა მსოფლიო კონგრესი, რომ მოხსენების კითხვის დროს რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ და ესპანურ ენასაც კი თავისუფლად იყენებდა და თარჯიმნის როლსაც თვითონ ასრულებდა.

ახალგაზრდა დოქტორს შეჰბედეს და კონგრესზე ჰკითხეს, ვისი მონაფე ბრძანდებითო. მან თავისი ქართველი მასწავლებლები, თავისი ქართული უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია დაასახელა.

თამაზ გამყრელიძეს იქ არ დასჭირვებია მტკიცება, უძველესი კულტურის მქონე ერის შვილი ვარო. მან საქმით წარმოადგინა თვისი ერი, ენა და ქვეყანა.„

სარწმუნოება?

უბრალოდ გადავავლოთ თვალი სულიერების იმ გზას, რომელზეც ქრისტიანობის მიღებიდან დღემდე მიაბიჯებს ქართველი. აღურაცხელია ის მსხვერპლი, სარწმუნოებისადმი ის თავდადება, რასაც უფლის სიყვარული შთააგონებდა ქართველს. რწმენამ და იმედმა გვიხსნა მრავალჯერ და დაგვიხსნის კვლავაც.

სწორუპოვარია ქართული ჰაგიოგრაფია და ჰიმნოგრაფია, რომლებშიც აირეკლა ის ზნეობრივი სიმაღლე, რასაც მიაღწიეს ქართველებმა ქრისტეს სჯულთან ზიარებით.

დასასრულ, მინდა, ქართული ენის დღე, 14 აპრილი, მივულოცო ყველა ქართველს და ქართული ენის სიტკბო - სილაღეზე შეყვარებულ ყველა არაქართველს. როგორც გაფრთხილება, გავიმეორო პოეტ მუხრან მაჭავარიანის სტრიქონები:

„დღეს ბედი მისი ჰკიდია ჩვენზე!
ღარი და ხაზი ამას რად უნდა...
ჩვენ უნდა შევძლოთ
და კიდეც შევძლებთ! –
კვლავ იძლიეროს
ენამ ქართულმა!“
ამინ, გვისმინოს უფალმა!

მერი გიორგიძე

საკრებულოში დამატებით ორი ფრაქცია შეიქმნა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დამატებით ორი ფრაქცია შეიქმნა. ამის შესახებ გადაწყვეტილება დეპუტატებმა 2 აპრილს გამართულ საკრებულოს მორიგ სხდომაზე მიიღეს. როგორც იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, ოთარ ლურსმანაშვილმა, აღნიშნა, „შენების მოძრაობისა“ (ინგა მაღრაძე და მიხეილ ჭიპაშვილი) და „ევროპული საქართველოს“ (აკაკი მაჭავარიანი და დავით მაღლაფერიძე) ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ფრაქცია „თავისუფლება ხალხისათვის“ შექმნეს, რომლის თავმჯდომარედ ინგა მაღრაძე, ხოლო მოადგილედ აკაკი მაჭავარიანი აირჩნენ.

გარდა ამისა, ცვლილებები განხორციელდა ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორებში.“ აღნიშნული ფრაქცია დეპუტატმა აკაკი ლურსმანაშვილმა დატოვა და მის ნაცვლად ზურაბ ხაჩიძე გაერთიანდა, რომელმაც ამავდროულად ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. რაც შეეხება აკაკი ლურსმანაშვილს, მან ახალი ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ შექმნა, რომლის მოადგილედ იულონ კოპაძე აირჩა.

ნაჯაგაულის ქუჩიან, ბგუების ჩუქაბილიტაციის ფიგნით, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები გამოაცხადა

ზვარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ნუნისში, სასოფლო გზის მობეტონება იწყება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულება უკვე გაფორმა. ნუნისში გზაზე ბეტონის საფარი 2284 მეტრზე დაიგება. პროექტი რეგიონული განვითარების ფონდიდან 311 444 ლარით ფინანსდება. ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსება 5%-ს შეადგენს. სამშენებლო სამუშაოებს ამხანაგობა „ნიუ გრუპი“ აწარმოებს და პირველ აგვისტომდე დასრულდება. გარდა ამისა, ნიკოლოზ თოფურიძემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ფარგლებშიც ხუნევის და ხევის ადმინისტრაციულ ერთეულებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა იწყება. პროექტის ღირებულება 420 460 30 ლარია . გამოვლინდა ასევე ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საპოვნელა+“, რომელიც ნადაბურსა და ბორში საგზაო ინფრასტრუქტურას მოაწესრიგებს.

საბავშვო ბაღებში რეფორმა იწყება

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება სხვა ა(ა)იპ-ებთან აღარ დაჯგუფდება. ამის მიზეზი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონია, რომლის შედეგად საბავშვო ბაღებში რეფორმა იწყება და იგი 2022 წლისთვის დასრულდება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თბილისში, სასტუმრო „ჰოლიდეი ინ-ში“ სამუშაო შეხვედრაც გაიმართა, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში მომდევნო ორი წლის განმავლობაში მოსალოდნელი რეფორმების შესახებ კონკრეტული ინფორმაციები მოისმინეს.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს საბავშვო ბაღები და რა სიახლეები იგეგმება სისტემაში, აღნიშნულთან დაკავშირებით ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების დირექტორი მამუკა ჭიპაშვილი გვესაუბრება:

„ადრეული და სკოლამდელი დაწესებულელების ახალი რეფორმა, რომლის განხორციელებასაც საქართველოს მთავრობა მუნიციპალიტეტებთან ერთად იწყებს, საბავშვო ბაღების გაერთიანებების ცალკე იურიდიულ პირად ჩამოყალიბებას ითვალისწინებს. ასევე უნდა მოხდეს ბაღების აღმზრდელთათვის აღმზრდელ-პედაგოგის სტატუსის მინიჭება. აღსანიშნავია, რომ რეფორმის ძირითადი მიზანია საქართველოში ყველა ბავშვისთვის სკოლამდელი მომსახურების ხელმისაწვდომობის თანაბარი შესაძლებლობა და ხარისხის გაუმჯობესება. პირველ ეტაპზე საჭიროა, საკრებულომ მიიღოს რამდენიმე ნორმატიული აქტი, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი, რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უკვე შეიმუშავა 0- დან 2– წლამდე; 2-დან 5 წლამდე და 5-დან ზემოთ ასაკის აღსაზრდელების განათლებისა და საბავშვო ბაღის აღმზრდელისთვის პედაგოგის სტატუსის მინიჭების სტანდარტი, რომელიც ითვალისწინებს აქტიურ მუშაობას ინკლუზიური განათლების კუთხით, ტრენინგების გავლასა და განახლებულ საგანმანათლებლო ღონისძიებებს საბავშვო ბაღებში.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ შექმნა ორი ჩარჩო– დოკუმენტი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებისა და კვების რეგლამენტის დასარეგულირებლად. სამინისტროს რეკომენდაციით, კვების რაციონში უნდა შემცირდეს ცხიმები, მარილი, შაქარი და სხვა მავნე ნივთიერებები. განისაზღვროს დღიური კალორაჟი და მოხდეს ინდივიდუალური, გააზრებული მენიუს შედგენა. ხოლო საბავშვო ბაღის შენობის ყველა ოთახში დაცული უნდა იყოს ჰიგიენური და სანიტარული ნორმები.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში საბავშვო ბაღებში უნდა შეიქმნას საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ექვს თვეში ერთხელ საზოგადოებას წარუდგენენ ინფორმაციას, რა გაკეთდა და რა მეთოდებით მუშაობს ესა თუ ის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. ყურადღება გამახვილდა მონიტორინგის სისტემის შემოღებაზე, რაც ხელს შეუწყობს საბავშვო ბაღებში წესრიგის დამყარებას, ბავშვთა მიმართ ძალადობისგან დაცვას და თავიდან აცილებას.„

-სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში 17 საბავშვო ბაღია. გაივლიან თუ არა ავტორიზაციას ეს ბაღები?

-სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას ოთხი წლის განმავლობაში აქვს ვადა, ავტორიზაცია გაიაროს. ცვლილებებზე მუშაობა ჯერ დასრულებული არაა, კვლავაც მიმდინარეობს კორექტირებების შეტანა-დახვეწა. ვფიქრობ, ხარაგაულში მოქმედ სკოლამდელ დაწესებულებებს ავტორიზაციის გავლა არ გაუჭირდებათ. ერთადერთი, რაც სემინარზე გვითხრეს, თუ ბაღის პირობები სიცოცხლისთვის საზიანო არაა, იგი არ დაიხურება. მიუხედავად იმისა, რომ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება ცალკე ფინანსურ ორგანიზაციად ჩამოყალიბდება, არ ეყოლება ცალკე ბუღალტერი და შესყიდვების განხორციელება არ შეეძლება დამოუკიდებლად. მათ ბაღების სააგენტო უხელმძღვანელებს.

-იყო საუბარი, რომ საბავშვო ბაღები გარკვეული კატეგორიისთვის შესაძლოა, ფასიანი გახდეს. იგეგმება თუ არა ამ კუთხით რაიმე ცვლილების განხორციელება?

-აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ამ ეტაპზე ცვლილების განხორციელება არ იგეგმება. ხელისუფლების პრიორიტეტია მომავალ თაობაზე ზრუნვა და სწორედ მათი მმართველობის პერიოდში საბავშვო ბაღები გახდა უფასო. აქედან გამომდინარე, არა მგონია, ამ კუთხით რაიმე შეიცვალოს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში ხარაგაულის ისეთ სოფლებში, სადაც სკოლამდელი დაწესებულება არ ფუნქციონირებდა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღები გაიხსნა.

- როგორ ფიქრობთ, რეფორმის განხორციელება როგორ აისახება ბიუჯეტზე?

-რეფორმის განხორციელების შემთხვევაში, დამატებითი თანხების მოძიება აუცილებლად დაგვჭირდება ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. აუცილებელია ინკლუზიური ბავშვებისათვის სპეციალური კიბისა და სველი წერტილების მოწყობა. აქვე მოგახსენებთ, რომ რეფორმა შტატების ცვლილებას არ ითვალისწინებს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის საოლქო კომისიას დამატებითი ფართი გადაეცა

ხარაგაულის საოლქო კომისიას სატრენინგო - საპრეზენტაციო ოთახისათვის დამატებითი ფართი გადაეცა. ამის შესახებ დეპუტატებმა 2 აპრილს გამართულ საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს. საკითხი მათ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ჯაბა ბერაძემ გააცნო. მომხსენებლის ინფორმაციით, ცესკოს დამატებითი ფართი სატრენინგო - საპრეზენტაციო ოთახისათვის ესაჭიროება. შენობის აღნიშნული მონაკვეთი თანამედროვე ევროპული სტანდარტებით გარემონტდება და სათანადო ტექნიკით აღიჭურვება.

გარდა ამისა, მერიამ საკრებულოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე მიმართა. როგორც მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი კახა გოლუბიანი განმარტავს, ახალი კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტის მერიას უფლება აქვს შტატით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 5% აიყვანოს შრომითი ხელშეკრულებით. ხარაგაულის მერიაში შრომითი კონტრაქტით 16 პირია დასაქმებული. თუ საკრებულო გამონაკლისის დაშვების შესახებ მერიას თანხმობას მისცემს, დამატებით სამი სპეციალისტი დაინიშნება. კერძოდ, მერის წარმომადგენლების სპეციალისტები დაემატება კიცხის, საღანძილისა და ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულებს. რის შემდეგაც ჯამში მერიას 19 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ეყოლება.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საკრებულომ დადებითი გადაწყვეტილება მიიღო და წარმოდგენილ საკითხებს მხარი ერთხმად დაუჭირეს.

„ვეფხისტყაოსნის“ საღამო N2 საჯარო სკოლაში

„ვეფხისტყაოსანი“ ქართული მხატვრული სიტყვის სწორუპოვარი საუნჯეა. თითქმის 850 წელი გვაშორებს ჩვენ ამ უკვდავ პოემასთან, მის ავტორ შოთა რუსთაველთან, მაგრამ მათდამი ინტერესი უფრო და უფრო გვიძლიერდება. „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნე - შეგონებით მარად თანამედროვეა ნებისმიერი ეპოქის ადამიანისათვის. სწორედ ასეთი მყარი საძირკველი განსაზღვრავდა ხარაგაულის მეორე საჯარო სკოლაში (დირექტორი ვალერი გოგნაძე) ჩატარებულ ღონისძიებას, რომლის ორგანიზატორი ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნაზი ჭიპაშვილი გახლდათ. V-VIII კლასების მოსწავლეებმა ძალზე საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინეს თავიანთი ასაკის შესატყვისად. ისინი სწორი და ძალზე სასიამოვნო დეკლამაციით წარმოთქვამდნენ ზეპირად პოემის ცალკეულ თავებს, აფორიზმებს, რაც კიდევ ერთხელ უსვამდა ხაზს მასწავლებლის თავდადებულ შრომასა და მოსწავლეთა ინტერესს.

სკოლის დირექტორმა ვალერი გოგნაძემ ღონისძიების დასასრულს მადლობა გადაუხადა ნაზი მასწავლებელსა და მოსწავლეებს, უსურვა აღსაზრდელებს იმ გზით სვლა, რომელიც უფლის მადლითაა განსაზღვრული - სამშობლოს სიყვარული, ძმობა და მეგობრობა ის მარადიული ღირებულებებია, რომლებიც თქვენი ცხოვრების ორიენტირი იქნება,“ - დასძინა სკოლის დირექტორმა.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა მყარი ნარჩენების შემგროვებელი 30 კონტეინერი მიიღო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მყარი ნარჩენების შემგროვებელი 30 კონტეინერი გადმოეცა. ა(ა)იპ „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების“ დირექტორის, თემურ ფურცელაძის, ინფორმაციით, ახალი კონტეინერები იმ სოფლებში განთავსდება, სადაც ამის საჭიროებაა.

აღსანიშნავია, რომ ხარაგაულს გასულ წელს ასევე გადმოეცა 2 ნაგავმზიდი მანქანა და 100 ერთეული მყარი ნარჩენების შემგროვებელი კონტეინერი. ტექნიკა, დასუფთავების სამუშაოების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტის სოფლებსაც ემსახურება.

შეგახსენებთ, რომ ხარაგაულისთვის ახალი კონტეინერები საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით შეიძინა და მუნიციპალიტეტს გადმოსცა.

ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი კიევში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე იმყოფებოდა

ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ ტურიზმის მიმართულების ხელმძღვანელი ბერიკა თურმანიძე კიევში გამართულ საერთაშორისო ტურისტულ გამოფენას დაესწრო. კიევის 24-ე გამოფენაში (UITT/UITM) სხვადასხვა ქვეყნის 400-მდე ორგანიზაცია იყო ჩართული, რომლებმაც თავიანთი კუთხის ტურისტული პოტენციალი წარმოაჩინეს. ბერიკა თურმანიძის ინფორმაციით, საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე სამი დღის განმავლობაში ხარაგაულის კუთხეს 1 000 მდე დამთვალიერებელი სტუმრობდა, რომლებიც გაეცნენ ბორჯომ-ხარაგაულის ტყე-პარკს, დააგემოვნეს კიცხის მარნის ღვინო და დიდი ინტერესით მოისმინეს

ხარაგაულის ისტორიული მუზეუმისა და, ზოგადად, ხარაგაულის ტურისტული პოტენციალის შესახებ.

საქართველოდან გამოფენაში 20-მდე ტურისტული კომპანია იღებდა მონაწილეობას, მათ შორის იყო ხარაგაულის ტურიზმის ცენტრი.

ბერიკა თურმანიძის თქმით, აპრილის ბოლოს ხარაგაულს უკრაინელი ტურ-ოპერატორი ესტუმრება, რომელიც ექსტრემალური ტურიზმითაა დაინტერესებული. ტურ-ოპერატორი ადგილზე შეისწავლის ეროვნული პარკის ბილიკებს, შემდეგ კი დაგეგმავს ჯგუფის ჩამოყვანას.

როგორც ბერიკა თურმანიძე აცხადებს, „მსგავსი სახის საერთაშორისო გამოფენას ტურიზმის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. 2018 წელს მსოფლიოს მასშტაბით 10-მდე გამოფენაა დაგეგმილი. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ყველა მათგანში მივიღოთ მონაწილეობა.“

ბერიკა თურმანიძის უკრაინაში ვიზიტი ა(ა)იპ „ტურიზმის განვითარების ცენტრმა“ დააფინანსა.

კონკურსის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო – საქართველოს“ რეგისტრაცია მიმდინარეობს

10 აპრილს ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრში კონკურსის „მასწავლებლის ეროვნული ჯილდო – საქართველოს„ ფარგლებში შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების პედაგოგები ესწრებოდნენ. მსმენელებს აღნიშნული პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია გასული წლის ფინალისტმა, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ნათია ფურცელაძემ მიაწოდა და აღნიშნა, რომ კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა რეგისტრაცია 20 აპრილამდე უნდა გაიარონ.

,,ეს არის გლობალური კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს პროფესიის პოპულარიზაციას, პრესტიჟის ზრდას, წარმატებული მასწავლებლების გამოვლენასა და საზოგადოებისათვის მათ წარდგენას. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებული ჯილდოს სახით იღებს 10.000 ლარს და ხდება გლობალური ჯილდოს ერთ-ერთი მონაწილე.“ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმზე საქართველომ მიიღო მასწავლებელთა გლობალური ჯილდოს აკრედიტაცია,“ - განაცხადა ქალბატონმა ნათიამ.

ფურცელაძემ ასევე ისაუბრა შერჩევის პროცესებსა და კრიტერიუმებზე და განმარტა, რომ შერჩევა ხუთ ეტაპად მიმდინარეობს და საბოლოოდ ფინალისტებს (ათეულს) ჟიური 18 კაციანი

შემადგენლობით გამოავლენს. ჟიური ყურადღებას ამახვილებს შემდეგ კრიტერიუმებზე: მოსწავლეების სწავლის შედეგების დინამიკა; სწავლების ინოვაციური და ეფექტური მიდგომების გამოყენება; ზოგადსაკაცობრიო მოქალაქეობრივი ღირებულებებისა და პრინციპების სწავლება; საზოგადოებერივი აღიარება და სამოქალაქო აქტივობა; პროფესიული განვითარება და გამოცდილების გაზიარება.

„ჩემი სურვილია, მასწავლებლებს მოტივაცია აუმაღლდეთ და ჩაერთონ ამ კონკურსში. საზოგადოებას სჭირდება, გაიცნოს წარმატებული და შემოქმედებითი პედაგოგები. ვფიქრობ, ხარაგაულში ბევრი ასეთი ღირსეული კადრია და კარგი იქნება, ამ მეტად საინტერესო პროექტში თუ მიიღებენ მონაწილეობას.“ - განაცხადა ნათია ფურცელაძემ.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

მუნიციპალიტეტში საგაზაფხულო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს. ამის შესახებ ინფორმაცია სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ბონდო კიკნაველიძემ გვაცნობა. მისივე თქმით, ამ ეტაპზე 151 ჰექტარი მიწის ფართობია დამუშავებული და საერთო ჯამში მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 3856 ჰექტარი მიწა უნდა მოიხნას. კიკნაველიძის განმარტებით, 1ჰა მიწის დახვნის ღირებულება 300 ლარია და მსურველებს 6 ერთეული ტრაქტორი გაუწევს მომსახურებას.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ შპს „ხარაგაული 2011-ის“ დირექტორს, ოლეგ კაციტაძეს. ტელ: 555 54 80 54;

პირველკლასელთა რეგისტრაცია დაიწყო

2018-2019 სასწავლო წლისათვის პირველკლასელთა რეგისტრაცია 10 აპრილს დაიწყო და ივნისის ბოლოს დასრულდება. ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე სწავლის დაწყების უფლება აქვთ იმ მოსწავლეებს, რომელთა ასაკი შეესაბამება კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ანუ სწავლის დაწყებისთვის უსრულდებათ 6 წელი.

საჯარო სკოლებში რეგისტრაცია სამ ეტაპად მიმდინარეობს:

I ეტაპზე, 10 აპრილიდან 27 აპრილის ჩათვლით, საჯარო სკოლაში დარეგისტრირება შეუძლია მათ, რომლის დაძმაც სწავლობს ამ სკოლაში, ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში, ან მშობელი ამავე სკოლის თანამშრომელია. მათთვის საბუთების წარდგენა 30 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლითაა შესაძლებელი.

II ეტაპი საყოველთაო ელექტრონული რეგისტრაციაა, რომელიც 8 მაისიდან 8 ივნისის ჩათვლით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე განხორციელდება.

I და II ეტაპზე მოსწავლის ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების განსაზღვრულ ვადებში წარუდგენლობის შემთხვევაში, რეგისტრაცია ავტომატურად უქმდება.

III ეტაპზე რეგისტრაცია განხორციელდება სკოლაში II ეტაპის დასრულების შემდგომ გამოთავისუფლებულ ვაკანტურ ადგილებზე და განაცხადის გაკეთება 2 ივლისიდან 16 ივლისამდეა შესაძლებელი.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12